საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

14/07/2025

MES 5 25 0000863510

გადაწყვეტილება

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის №1633628 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 1.1 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა:

„რეკომენდებულია შეიცვალოს "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის მიზნების ფორმულირება, იმისათვის, რომ მიზნების აღწერა იწყებოდეს შესაბამისი ზმნებით.“

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ბ) აკრედიტაციის საბჭომ 1.1 კომპონენტში არსებული შემდეგი რჩევა არ გაითვალისწინა:

„სასურველია "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებული იყოს ინდივიდუალურად და ლაკონურად, რომლებიც მოიცავენ განათლებას და კვლევას და მათი აღწერილობა წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ზმნებით.“

გ) აკრედიტაციის საბჭომ 1.2 კომპონენტში შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და რჩევებში გადაიტანა შემდეგი სახით:

„სასურველია გადაიხედოს "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის ყველა სწავლის შედეგი, თითოეული მათგანი უნდა იწყებოდეს ერთი მკაფიოდ განსაზღვრული და გაზომვადი მოქმედების ზმნით.“

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

დ) აკრედიტაციის საბჭომ 1.2 კომპონენტში არ გაითვალისწინა შემდეგი რეკომენდაცია:

„რეკომენდებულია ხელახლა გადაიხედოს "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიზნებთან შესაბამისობის რუკა, ახლად ჩამოყალიბებული პროგრამის სწავლის შედეგების საფუძველზე“.

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ე) აკრედიტაციის საბჭომ 1.2 კომპონენტში არ გაითვალისწინა შემდეგი რჩევა:

„სასურველია "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ინვესტირება სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროფესიული განვითარების ტრენინგებში“.

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია 1-ელი სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ვ) აკრედიტაციის საბჭომ 4.3 კომპონენტში შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და რჩევებში გადაიტანა შემდეგი სახით:
„სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალის განვითარების ყოველწლიური სემინარების ორგანიზება, რომლებზეც მოწვეული იქნებიან გლობალური სამედიცინო განათლების ექსპერტები ანალოგიური / მომიჯნავე პროგრამებიდან.“
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ზ) აკრედიტაციის საბჭომ 4.3 კომპონენტში შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და რჩევებში გადაიტანა შემდეგი სახით:
„სასურველია გაძლიერდეს "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალის შესაძლებლობები სილაბუსების განვითარების მიმართულებით საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლება, ციფრული ინსტრუმენტები, ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება და ინტერდისციპლინური მიდგომები.“
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
თ) აკრედიტაციის საბჭომ 4.4 კომპონენტში შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და რჩევებში გადაიტანა შემდეგი სახით:
„სასურველია "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამაში რეგულარულად გადაიხედოს და განახლდეს სახელმძღვანელოები და დამატებითი საკითხავი მასალები როგორც ძირითადი, ისე არჩევითი კურსებისთვის, იმისათვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა თანამედროვე და რელევანტურ ლიტერატურაზე.“
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია მე-4 სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც, „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ი) აკრედიტაციის საბჭომ 5.3 კომპონენტში შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:
„რეკომენდებულია სამაგრეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში, სწავლის შედეგები პირდაპირი მეთოდებით შეფასდეს იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება."
აღნიშნულს არ გამოუწვევია როგორც სტანდარტის, ისე 5.3 კომპონენტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 მარტამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის სხდომის №862325 ოქმის №04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამაში ხელახლა გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების კურსებთან შესაბამისობის რუკა, იმისათვის, რომ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში უფრო რეალისტურად განაწილდეს შესავალი, გაღრმავება და განმტკიცება;
- რეკომენდებულია "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამაში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უზრუნველყოფილი იყოს პირდაპირი მეთოდების გამოყენებით, ანუ პროგრამის კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდებით (საგამოცდო ნაშრომები, რუბრიკები და სამაგისტრო ნაშრომის დეტალური შეფასება);
- რეკომენდებულია "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გაფორმდეს ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობა და მათი პრაქტიკის ხანგრძლივობა, რაც უზრუნველყოფს სიცხადეს და ეფექტურ დაგეგმვას როგორც სტუდენტებისთვის, ასევე დამსაქმებლებისთვის;
- რეკომენდებულია განხორციელდეს "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის შედარება ანალოგიურ საერთაშორისო პროგრამებთან, იმისათვის, რომ პროგრამა შეესაბამებოდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- რეკომენდებულია "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის ყოვლისმომცველი თვითშეფასება შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, პროგრამის სტრუქტურაში და განხორციელებისას გამოწვევების და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით;
- რეკომენდებულია "ფარმაციის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს მაგისტრანტების მიერ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის განხორციელების და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელობის შეფასება;
- რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში, სწავლის შედეგები პირდაპირი მეთოდებით შეფასდეს იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება.

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 01 ივლისიდან.
5. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 01 ივლისი.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე